პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი
№ 63 (12879) | კვირა, 15 მარტი, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.

ხასახელო შრომითი წარმატებებით აღნიშნავენ ყოველ დღეს ჩვენი რესპუბლიკის მრავალრიცხოვანი საწარმო-დაწესებულებების მშრომელები. მათ შორის არიან თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის მუშები, კერძოდ, საქსოვი საამქროს მოწინავე მუშა ქალები: (მარცხნიდან) მქსელავი ლილი ლუკინა, გამწყობი დუსია ჩურკინა, მქსოველები მერი ხმალაძე, დოდო ქერდიკაშვილი და ნანა ზანდუკელი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შემდგომი განვითარების შესახებ უმაღლეს სასწავლებლებში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შემდგომი განვითარების შესახებ უმაღლეს სასწავლებლებში“.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ უმაღლესი სკოლა, რომელსაც ჰყავს მეცნიერ მუშაკთა მაღალკვალიფიციური კადრები, ჯერ კიდევ არ იღებს საკმაოდ აქტიურ მონაწილეობას სახალხო მეურნეობის წინაშე დასახულ ამოცანათა გადაჭრაში. სახელმწიფო დარგობრივი და საწარმოო კომიტეტები, სამინისტროები, უწყებები და სახალხო მეურნეობის საბჭოები ფართოდ არ აბამენ უმაღლეს სასწავლებლებს სამეცნიერო-კვლევით, საცდელ-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიურ სამუშაოთა შესრულებაში, საჭირო დახმარებას არ უწევენ უმაღლეს სასწავლებლებს სამეცნიერო-საექსპერიმენტო ბაზის განმტკიცებაში. სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო, მოკავშირე რესპუბლიკათა მინისტრთა საბჭოები, სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები, სამინისტროებს, უწყებებს, სახალხო მეურნეობის საბჭოებსა და საწარმოებს ახალი ტექნიკის გეგმების შედგენისას:

გაითვალისწინონ უმაღლეს სასწავლებლებში შესრულებულ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა შედეგების დანერგვა სახალხო მეურნეობაში.

უზრუნველყონ უმაღლეს სასწავლებლში შემუშავებული ახალი ნიმუშების მანქანების, მოწყობილობის, ხელსაწყოების, ნაკეთობების, მასალებისა და ტექნოლოგიური პროცესების კონსტრუქტორული დამუშავება, დამზადება და საცდელი შემოწმება საწარმოებში, საკონსტრუქტორო ბიუროებსა და სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებში.

სახელმწიფო დარგობრივი და საწარმოო კომიტეტები, სამინისტროები, უწყებები და სახალხო მეურნეობის საბჭოები ვალდებული არიან უფრო ფართოდ მიაღებინონ მონაწილეობა უმაღლეს სასწავლებლებს, რომლებსაც ჰყავთ კვალიფიციური მეცნიერ-პედაგოგთა კადრები და აქვთ საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა შესრულებაში საწარმოებთან და დაწესებულებებთან სამეურნეო ხელშეკრულებების მიხედვით.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, რომლებსაც აქვთ უმაღლესი სასწავლებლები, სახელმწიფო დარგობრივ და საწარმოო კომიტეტებთან და სხვა დაინტერესებულ უწყებებთან შეთანხმებით, გეგმების შედგენისას უნდა გაითვალისწინონ ის, რომ უმაღლეს სასწავლებლებში შესრულდეს იმ ამოცანებთან დაკავშირებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები, რომლებიც დასახული აქვს სახალხო მეურნეობას, აგრეთვე მატერიალური რესურსებით უზრუნველყონ ეს სამუშაოები.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაავალეს სსრ კავშირის სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოთა საკოორდინაციო სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის სახელმწიფო-საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახელმწიფო-დარგობრივ და საწარმოო კომიტეტებს, სამინისტროებს, უწყებებს, სახალხო მეურნეობის საბჭოებსა და საწარმოებს ახალი ტექნიკის გეგმების შედგენისას:

გაითვალისწინონ უმაღლეს სასწავლებლებში შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოთა შედეგების დანერგვა სახალხო მეურნეობაში.

უზრუნველყონ უმაღლეს სასწავლებლში შემუშავებული ახალი ნიმუშების მანქანების, მოწყობილობის, ხელსაწყოების, ნაკეთობების, მასალებისა და ტექნოლოგიური პროცესების კონსტრუქტორული დამუშავება, დამზადება და საცდელი შემოწმება საწარმოებში, საკონსტრუქტორო ბიუროებსა და სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებში.

სახელმწიფო დარგობრივი და საწარმოო კომიტეტები, სამინისტროები, უწყებები და სახალხო მეურნეობის საბჭოები ვალდებული არიან უფრო ფართოდ მიაღებინონ მონაწილეობა უმაღლეს სასწავლებლებს, რომლებსაც ჰყავთ კვალიფიციური მეცნიერ-პედაგოგთა კადრები და აქვთ საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა შესრულებაში საწარმოებთან და დაწესებულებებთან სამეურნეო ხელშეკრულებების მიხედვით.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, რომლებსაც აქვთ უმაღლესი სასწავლებლები, ამ მიზნებისათვის გეგმებში უნდა გაითვალისწინონ, რომ უმაღლეს სასწავლებლებს გამოეყოთ მუშაკთა რაოდენობა და ხელფასის ფონდები დადებული ხელშეკრულებებისა და შემკვეთთა საგარანტიო ვალდებულებების შესაბამისად.

სახელმწიფო დარგობრივ და საწარმოო კომიტეტებს, სამინისტროებს, უწყებებს, სახალხო მეურნეობის საბჭოებს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასა და მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიებს ნება დაერთოთ გადასცენ უმაღლეს სასწავლებლებს აღნიშნულ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა შესასრულებლად ასიგნებანი, მომსახურე და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის ხელფასის ფონდები და შრომის ლიმიტები.

სახელმწიფო დარგობრივ და საწარმოო კომიტეტებს, სამინისტროებს, უწყებებს, სახალხო მეურნეობის საბჭოებს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასა და მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიებს ნება დაერთოთ უსასყიდლოდ გადასცენ უმაღლეს სასწავლებლებს სამეცნიერო-კვლევით- სამუშაოთა შესრულებისათვის საჭირო მოწყობილობა, მანქანები, ხელსაწყოები და აპარატები, აგრეთვე ტექნიკური დოკუმენტაცია.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახელმწიფო დარგობრივ და საწარმოო კომიტეტებს, სამინისტროებს, უწყებებსა და სახალხო მეურნეობის საბჭოებს დაევალათ სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან და სსრ კავშირის სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა საკოორდინაციო სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით განიხილონ და გადაჭრან საკითხები იმის შესახებ, რომ უმაღლეს სასწავლებლებში შეიქმნას საარმალემო და დარგობრივი სამეცნიერო-საკვლევი ლაბორატორიები, რათა შეასრულონ აქტუალური სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები, უწინარეს ყოვლისა ქიმიის, ქიმიური მანქანათმშენებლობის, ხელსაწყოთმშენებლობის, რადიოელექტრონიკის, ელექტრონული ტექნიკისა და სოფლის მეურნეობის დარგში.

იმ მიზნით, რომ პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობამ უფრო ფართო მონაწილეობა მიიღოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა შესრულებაში, ნებადართულია უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის საშტატო შეთავსება, უწინარეს ყოვლისა, საწარმოთა ლაბორატორიებში, საცდელ-საექსპერიმენტო, საპროექტო-საკონსტრუქტორო, სამეცნიერო და სხვა ორგანიზაციებში, რომლებიც ასრულებენ ქიმიის, ქიმიური მანქანათმშენებლობის, ხელსაწყოთმშენებლობის, რადიოელექტრონიკის, ელექტრონული ტექნიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარებასთან დაკავშირებულ სამუშაოებს, ამასთან მათ უნდა გადაუხადონ შეთავსებული თანამდებობის განაკვეთის 50-დე პროცენტი. შეიძლება მხოლოდ ერთი თანამდებობის შეთავსება, თუ იქნება უმაღლესი სასწავლებლის, დაინტერესებული ორგანიზაციის, საწარმოს ან დაწესებულების ხელმძღვანელთა წერილობითი ნებართვა.

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ნება დერთო მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების წარდგინებით, რომლებსაც უმაღლესი სასწავლებლები აქვთ, დაიწესონ საჭირო რაოდენობით შტატების შემთავსებლები ინ სპეციალისტების, მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეთა რიცხვიდან, რომლებსაც იწვევენ პედაგოგიური მუშაობისათვის უმაღლეს სასწავლებლებში.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაავალეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, ნებადართულია უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის საშტატო შეთავსება, უწინარეს ყოვლისა, საწარმოთა ლაბორატორიებში, საცდელ-საექსპერიმენტო, საპროექტო-საკონსტრუქტორო, სამეცნიერო და სხვა ორგანიზაციებში, რომლებიც ასრულებენ ქიმიის, ქიმიური მანქანათმშენებლობის, ხელსაწყოთმშენებლობის, რადიოელექტრონიკის, ელექტრონული ტექნიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარებასთან დაკავშირებულ სამუშაოებს, ამასთან მათ უნდა გადაუხადონ შეთავსებული თანამდებობის განაკვეთის 50-დე პროცენტი. შეიძლება მხოლოდ ერთი თანამდებობის შეთავსება, თუ იქნება უმაღლესი სასწავლებლის, დაინტერესებული ორგანიზაციის, საწარმოს ან დაწესებულების ხელმძღვანელთა წერილობითი ნებართვა.

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ნება დერთო მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების წარდგინებით, რომლებსაც უმაღლესი სასწავლებლები აქვთ, დაიწესონ საჭირო რაოდენობით შტატების შემთავსებლები ინ სპეციალისტების, მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეთა რიცხვიდან, რომლებსაც იწვევენ პედაგოგიური მუშაობისათვის უმაღლეს სასწავლებლებში.

ა. ნ. კოსიგინის მოგზავნილი გაემგზავრება იტალიაში

იტალიის მთავრობის მიწვევით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ნ. კოსიგინი უახლოეს დღეებში გაემგზავრება იტალიაში, სადაც საბჭოთა მთავრობის დავალებით გახსნის სსრ კავშირის სავაჭრო-სამრეწველო გამოფენას გენუაში.

მარშალ აბდალა ას-სალალის მოგზავანი ვიზიტი საბჭოთა კავშირში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და საბჭოთა მთავრობამ იმქმენის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტი მარშალი აბდალა ას-სალალი ოფიციალურ სახელმწიფო ვიზიტად მიიწვიეს საბჭოთა კავშირში.

მარშალი აბდალა ას-სალალი მადლობით დათანხმდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევაზე.

იემენის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტი მარშალი აბდალა ას-სალალი და მისი თანმხლები პირები საბჭოთა კავშირში ჩამოვლენ 1964 წლის 16 მარტს.

რადიომიმღებებისა და რადიოლებების ნაცვლად ფასების შემცირება

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ 1964 წლის 15 მარტიდან შეამციროს ფართო მაუწყებლობის რადიომიმღებებისა და რადიოლების სახელმწიფო საცალო ფასები საშუალოდ 15 პროცენტით.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ალჟირის ელჩი

გაბრა, 13 მარტი. (საკდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა დღეს მიიღო სახალხო-დემოკრატიული ალჟირის რესპუბლიკის ელჩი მოჰამედ ბენიახია, რომელმაც საბჭოთა მთავრობის მეთაურს გადასცა სახალხო-დემოკრატიული ალჟირის რესპუბლიკის პრეზიდენტის აჰმედ ბენ ბელას წერილი. ნ. ს. ხრუშჩოვსა და მ. ბენიახიას შორის გაიმართა მეგობრული საუბარი.

ურხო კ. კეკონენი გაემგზავრა სამშობლოში

ტალინი, 14 მარტი. (საკდესი). ფინეთის პრეზიდენტი ურხო კ. კეკონენი მეუღლითურთ დღეს გაემგზავრა ჰელსინკიში. ფინეთის სახელმწიფოს მეთაური არაოფიციალურ ვიზიტად იმყოფებოდა საბჭოთა ესტონეთში რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მოწვევით.

ტალინის აეროდრომზე ურხო კეკონენი მეუღლითურთ და მათი თანმხლები პირები გააცილეს ესტონეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. ა. მიურისეპმა და რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელმა მუშაკებმა, აგრეთვე ფინეთის ელჩმა საბჭოთა კავშირში იორმა ვანამომ.

• • •

იმავე დღეს პრეზიდენტი ურ. კ. კეკონენი ჩავიდა ჰელსინკიში.

„ილ-18“ მიფრინავს ცეილონში

მოსკოვი, 14 მარტი. (საკდესის კორ.). აეროფლოტმა გახსნა კიდევ ერთი საერთაშორისო ხაზი მოსკოვი-კოლომბო. მანძილს ჩვენი სამშობლოს დედაქალაქიდან შორეულ კუნძულამდე ინდოეთის ოკეანეში თვითმფრინავი გაიელს განრგის მიხედვით 12 საათში და გზად დაეშვება ტაშკენტსა და კარაჩიში. ახალი ავიახაზით „ილ-18“ განახორციელებს კვირაში ერთ რეისს.

კეთილი ნების მისია

14 მარტს მოსკოვში ჩავიდა კონგოს რესპუბლიკის (ბრაზავილი) კეთილი ნების მისია საგარეო საქმეთა და ინფორმაციის მინისტრის შარლ განაოს მეთაურობით. (საკდესი).

მონჟი სლიმი საქართველოში

ტუნისის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივანმა მონჟი სლიმმა, რომელიც ოფიციალურ ვიზიტად იმყოფება საბჭოთა კავშირში, და მისმა თანმხლებმა პირებმა 14 მარტი მიუძღვნეს თბილისის ღირსშესანიშნაობათა დათვალიერებასა და რუსთაველის მეტალურგიული ქარხნის დირექტორმა ო. სულაძემ საპატიო სტუმარს უამბო, თუ როგორ აშენდა ქალაქი, გაიცნო ამიერკავკასიის უდიდესი მეტალურგიული საწარმოს მუშობა. სტუმრები იყვნენ ქარხნის საბრძოლ საამქროში.

შემდეგ მონჟი სლიმი ეწვია თბილისის შამპანური ღვინოების ქარხანას. საწარმოს საქმიანობა სტუმრებს გააცნო ქარხნის დირექტორმა გ. ფუშმალიშვილმა.

ნაშუადღევს საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. გიგოშვილმა საპატიო სტუმრის პატივსაცემად სადილი გამართა. სადილზე იყვნენ ტუნისის რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ფათეხი ზუპირი, ტუნისის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სახელმწიფო სამდივნოს ეგვიპტის ქვეყნების განყოფილების გამგე სლიმ ბენგაზი. საბჭოთა კავშირის მხრივ სადილზე იყვნენ სსრ კავშირის ელჩი ტუნისის რესპუბლიკაში ა. კოლაქინკოვი, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროების პასუხისმგებელი მუშაკები, საქართველოს სსრ მინისტრები და სხვა ოფიციალური პირები. ა. გიგოშვილმა და მონჟი სლიმმა სადღეგრძელოები წარმოთქვეს. სადილმა გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

საქდესის კორესპონდენტმა სთხოვა ტუნისის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივანს გაეზიარებინა თანამოსაუბრისათვის ამ ... ...

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის შემდეგ

პროპაგანდა და ცხოვრება

ᲘᲓᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ მუშაობის ძირეულად გაუმჯობესებისათვის საჭიროა, რომ ადამიანთა კომუნისტური აღზრდის, კადრების იდეური წრთობის საკითხებზე ყოველდღიურად მუშაობდეს ყველა პარტიული ორგანო თავიდან ბოლომდე. პლენუმი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იმას, რომ იზრდება **პირველადი პარტიული ორგანიზაციების** როლი და პასუხისმგებლობა სკკპ პროგრამისა და წესდების განხორციელებისათვის, ადამიანთა კომუნისტური აღზრდისათვის, მორალური კოდექსის პრინციპების განხორციელებისათვის, თითოეული საბჭოთა ადამიანის შრომითი და პოლიტიკური აქტივობის გადიდებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილებიდან.

კომუნისტები

ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲐᲓ მისი სამუშაო დღე მინდორში იწყება და იქ მთავრდება. ახალგაზრდა კოლმეურნე ქალს ციცინო გოხელაშვილს საქმე არ ელევა. კოლმეურნეობის კომუნისტებმა იგი წინამძღოლად აირჩიეს, და ისიც მთელი ენერგიით ცდილობს გაამართლოს თანასოფლელთა ეს დიდი ნდობა.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრისა და თებერვლის პლენუმებმა ახალი საპატიო საქმეები და საზრუნავი გაუჩინეს სოფლის მშრომელებს, კომუნისტებს. პარტიაროს მდივანს ციცინო გოხელაშვილს კარგად ესმის, რომ პარტიული ცხოვრების უმნიშვნელოვანეს უბანს ახლა წარმოადგენს ამ პლენუმების გადაწყვეტილებების ყველა მშრომელამდე მიტანა, პრაქტიკული, ორგანიზატორული მუშაობა იმისათვის, რომ თვითეულმა კოლმეურნემ მონახოს თავისი ადგილი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციისათვის ლაშქრობის დამკვრელურ ფრონტზე. პარტიაროს მდივანი ხშირად ეთათბირება კომუნისტებს, კოლმეურნე აქტივისტებს პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელების პრაქტიკულ საკითხებზე.

— ციცინო, — მიმართა ამ რამდენიმე დღის წინ მეორე ბრიგადის ერთმა კოლმეურნემ, — აგროქიმიის სკოლების შექმნა და იქ სწავლა კარგი საქმეა, მაგრამ თუ არ გიზრუნეთ სასუქების შესატანი მანქანების შეძენაზე, ამდენ სასუქს მინდორში ხელით ვინ შეიტანს?!

— კიდევაც რომ შეეძლოთ ხელით შეტანა, ეფექტი ნაკლები იქნება, — დაუმატა მეორემ.

— მართალი ხართ. სასუქების შესატანი მანქანები აუცილებლად გვჭირდება და მათ შესაძენად ახლავე უნდა ვიღონონთ...

— დროა მეძროხეობის ფერმის ახლადაგებულ სადგომში მექანიზაცია მოვაწყოთ, — ახლა მწველავმა მიმართა პარტიაროს მდივანს.

— სწორეა, ამაზეც საჭიროა გამგეობას მოველაპარაკოთ.

პარტიაროს მდივნის მეხსიერებაში რჩება კომუნისტების, კოლმეურნე აქტივისტების ყველა წინადადება და შენიშვნა, რომლებიც მერე პარტიაროს უახლოეს სამუშაოთა გეგმებში ისახება.

შავგრემანი, საშუალო ტანის ქალია ციცინო გოხელაშვილი. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ერთხანს რაიონის აღმასკომის მაშინდელ სოფლის მეურნეობის განყოფილებაში მუშაობდა, 1954 წლიდან კი — ქარელის კოლმეურნეობის მებალეობის ბრიგადაში. ბეჯითი შრომით კარგი მეხილის სახელი მოიხვეჭა. ახალგაზრდა ქალს ეამაყება, რომ სხვა მოწინავე მეხილეებთან ერთად ჩვენი ქვეყნის შრომელთა სუფრას მისი მოყვანილი ლოყებდაყლაჟა ვაშლიც ამშვენებს.

შარშან გოხელაშვილმა ვაშლის მოსავლიანობის გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულა. ასევე ისახელა თავი შაქრის ჭარხლის მოყვანაში. **ᲞᲐᲠᲢᲘᲝᲠᲘᲡ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲞᲘᲠᲐᲓ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ.** ეს კი მთავარია ადამიანებთან მუშაობაში, მათთან საერთო ენის გამონახვასა და პარტიული ბიუროს გავლენის ამაღლებაში. ამიტომ არის, რომ ქარელელ კოლმეურნეებს ყოველთვის სჯერათ პარტიაროს მდივნისა და ხალისიან, რწმენით ასრულებენ მის რჩევას.

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, კომუნისტმა ხვთისო რაზმაძემ გაიხსენა:

— ეს შარშანწინ ადრე გაზაფხულზე იყო. დიდი-ფარიანას წინააღმდეგ წამლობას ვატარებდით მინერალური ზეთების ოთხპროცენტიანი ემულსიით. ციცინომ შემოიტანა წინადადება გაგვედიდებინა ემულსიის პროცენტი. მისი აზრით, ასეთი დოზით წამლობა მეტ ეფექტს მოიტანდა.

— როგორ მივიდა ამ დასკვნამდე?

— პრაქტიკული დაკვირვებით, თუმცა ერთბაშად როდი დავუჯერეთ მას. მოვეთათბირეთ სპეციალისტებს, რომლებმაც მოიწონეს ეს აზრი. ხეხილის წამლობა რვაპროცენტიანი ემულსიით დავიწყეთ, კი იხეიდებოდა, ზეპირად ასახელებდა ციფრებს, რომ 1963 წელს კოლმეურნეობამ სახელმწიფოს მიჰყიდა 4.830 ცენტნერი მარცლეული ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.350 ცენტნერისა, 1.900 ცენტნერის ნაცვლად 2.050 ცენტნერი ხილი, გეგმასთან შედარებით 50 ცენტნერით მეტი ყურძენი, 28.500 ცენტნერის ნაცვლად 62.175 ცენტნერი შაქრის ჭარხალი და 60.000 მანეთის ნაცვლად 100.000 მანეთის ბოსტნეული და ბოსტნეულის თესლი, რომ გადაჭარბებით გაანაღდეს აგრეთვე სახელმწიფოსათვის ხორცის, რძის, კვერცხის. მატყლისა და აბრეშუმის პარკის მიყიდვის დავალებები.

მარცლეულის წარმოების გადიდების მიზნით შემოდგომის ხორბლის ნათესი ფართობი 442 ჰექტარიდან 530 ჰექტარამდე გადიდდა. დიდ ფართობზე — 251 ჰექტარზე დითესა უხვმოსავლიანი ჯიშის ხორბალი „უფხო-1“.

შარშან შემოდგომაზე კოლმეურნეობაში გაშენდა 56 ჰექტარი ხეხილის ახალი ბაღი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 35 ჰექტარისა.

— რა თქმა უნდა, — განაგრძობს სუბარის პარტბიუროს მდივანი, — ცალკეული კომუნისტების მარტო პირადი მაგალითის ჩვენება საკმარისი როდია, **საჭირო ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲘᲡ ᲐᲦᲖᲠᲓᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲠᲕᲐᲗᲐ ᲛᲔᲗᲝᲓᲘᲗᲐᲜ.** ჰოდა, სათქმელი აქაც გვაქვს, კოლმეურნეობაში აგროქიმიის სწავლების სამი სკოლა ჩამოყალიბდა, ქიმიის ცოდნას ეუფლება 66 კაცი.

ც. გოხელაშვილი.

— ასეთ ადამიანებზე ვამბობ, — განაგრძობს ნ. ს. ხრუშჩოვი კომკავშირის XIV ყრილობაზე, — **სწორედ იმაზე, რომ ყოველ ადგილზე, ყოველ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲮᲔᲓᲐᲕᲓᲔᲗ ᲓᲐ ᲮᲔᲓᲐᲕᲓᲔᲗ ᲛᲐᲦᲐᲚ ᲛᲘᲖᲜᲘᲡ ᲪᲮᲝᲠᲕᲠᲔᲑᲨᲘ, ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲗ, ᲠᲝᲛᲚᲘᲪᲘ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ.** ᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲘᲤᲔᲑᲘ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲣᲐᲠᲧᲝᲤᲘᲡ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲗᲐ ᲛᲘᲛᲬᲝᲠᲗᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲜ.

რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებში

ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ ᲤᲔᲠᲛᲐᲨᲘ

ᲡᲐᲩᲮᲔᲠᲘᲡ რაიონის სოფელ სხვეტორში ფართოდ გაჩაღებულ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრისა და თებერვლის პლენუმების მასალების შესწავლა-პროპაგანდა. ნაყოფიერად მუშაობს სასოფლო ბიბლიოთეკა და აგიტპუნქტი, სადაც მოწყობილია გამოფენები.

ბიბლიოთეკის თანასოფლელობის ფერმაში გაიმართა მკითხველთა კონფერენცია. მოხსენება თემაზე — „ქიმია სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების მძლავრი საშუალებაა“ — გააკეთა ბიბლიოთეკის გამგემ ეკ. ალადგიძემ, ხოლო კოლმეურნეობის ვეტექიმის ბ. ასანაძის მოხსენების თემა იყო „პლენუმების გადაწყვეტილებანი მეცხოველეობის აღმავლობის შესახებ“.

კონფერენციამ მეცხოველეობაში დიდი ინტერესი გამოიწვია. დასასრულ გაიმართა კონცერტი.

Მ. ᲒᲝᲨᲣᲐᲫᲔ,
კოლმეურნეობის აგიტატორი.

სწავლობენ პარტიული მშენებლობის საფუძვლებს

ᲮᲘᲐᲗᲣᲠᲐ. (საკ. კორ.). კარგი თაოსნობა გამოიჩინა დიმიტროვის სახელობის მაღაროს პარტიულმა ორგანიზაციამ. **ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲚᲘᲡ ᲐᲡᲐᲚᲛᲘᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲛᲬᲕᲔᲚᲘ ᲒᲣᲓᲛᲘᲗᲘᲗᲐᲜᲐᲓᲐᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.** ᲐᲛᲐᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲐᲮ ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲬᲠᲔ. ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲠᲘᲡ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ ᲛᲐᲦᲐᲠᲝᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔ ᲒᲘᲠᲘᲜᲐᲗᲘ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲘ ᲡᲙᲝᲚᲐ ᲩᲐᲛᲝᲧᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲐᲠᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲙᲐᲠᲔᲚᲔᲚᲘ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲑᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ ᲡᲣᲠᲐᲗ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲛᲐᲒᲘᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲣᲤᲠᲐᲗᲐ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲐᲦᲬᲔᲠᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ.

ᲛᲔᲪᲔᲜᲐᲢᲘ ᲨᲐᲠᲕᲐᲜᲘ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲣᲚᲘᲐ

საერთაშორისო
ლიტერატურული ცხოვრება
ცხოვრება

ომის ღრუბლები კვიპროსის ცაზე

ვაშინგტონი ჩიხში მოექცა სამხრეთ ვიეტნამში

როკფელერს დაუგეს წინასაარჩევნო საფანგი

ბოლო უნდა მოეღოს ნაცისტთა მოძალეობას!

ბერლინი, 13 მარტი. (საკდესი). ანტიფაშისტური მოძრაობა წინააღმდეგობის მებრძოლთა კომიტეტმა (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) წერილით მიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა საკითხის კომისიის მე-20 სესიას, რომელიც ნიუ-იორკში მიმდინარეობს. როგორც ადნის საგენტო იუწყება, წერილში აღნიშნულია, რომ დასავლეთ გერმანიის მთავრობას განზრახული აქვს მომავალი წლიდან სასამართლო პასუხისგებაში აღარ მისცეს ნაცისტი და სამხედრო დამნაშავენი. კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დასავლეთ გერმანიაში ბევრ ნაცისტ დამნაშავეს პასუხსაგები პოსტები უკავია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

როგორც აღნიშნულია წერილში, დასავლეთ გერმანიის „კონსტიტუციის დაცვის უწყების“ ყველა ხელმძღვანელი თანამშრომლის დაახლოებით 30 პროცენტი ჰიმლერის ხელქვეითი იყო. დასავლეთ გერმანიის არმიაში არ არის არც ერთი გენერალი, რომელსაც ჰიტლერულ არმიაში არ ემსახუროს. მაგალითად, ბუნდესვერის ახლანდელ გენერალურ ინსპექტორს გ. ტრეტნერს ჰიტლერული ფაშიზმის დამხობამდე ცოტა ხნით ადრე გენერალ-ლეიტენანტის წოდება მიანიჭეს. მან ჩაიდინა მძიმე სამხედრო დანაშაული, რომელმაც მარტო იტალიაში იმსხვერპლა 62 ათასი კაცი.

წერილი შეიცავს თხოვნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომისიისადმი ყველა სახეობის რასობრივი დისკრიმინაციის ლიკვიდაციის შესახებ კონვენციის განხილვასთან დაკავშირებით მიღოს ღონისძიებანი, რომელთა საშუალებით ნაცისტებს, როგორც რასობრივი იდეოლოგიისა და ტერორის გამავრცელებლებს, მოაშორებენ ყოველი ქვეყნის სახელმწიფო და საზოგადოებრივ ცხოვრებას.

მზადება სამხედრო ქალის დემონსტრაციისათვის

ნიუ-იორკი, 14 მარტი. (საკდესი). ამერიკის შეერთებულ შტატებს განზრახული აქვთ მოაწყოს სამხედროქალის მორიგი დემონსტრაცია. აღვილად მათ დემონსტრაციის ადგილად აირჩიეს ირანი, რომელიც საბჭოთა კავშირს ესაზღვრება.

ასოშიეიტედ პრესის საგენტოს ცნობით, აპრილში ირანში თვითმფრინავებით გადაყვანილ იქნება ამერიკის საპარაშუტო ბრიგადა. აღნიშნული ოპერაციის მიზანია „ცხადყოს ამერიკის შეერთებული შტატების უნარი, გააძლიერონ საბჭოთა კავშირის მეზობლად მცხოვრები თავიანთი მოკავშირეები“.

ირანში, აღნიშნავს საგენტო, გაიგზავნება აგრეთვე საბრძოლო თვითმფრინავების ჯგუფი, მათ შორის რეაქტიული ავიაგამანადგურებლები და სადაზვერვო თვითმფრინავები.

ბრალდებული რუბის სიკვდილით დასჯას მოითხოვს

ნიუ-იორკი, 14 მარტი. (საკდესი). დალასში რუბის სასამართლო პროცესზე დამთავრდა მოწმეთა გამოსვლა. წაიკითხეს საბრალდებულო დასკვნა. თავის გამოსვლაში პროკურორის თანაშემწემ ვილიამ ალექსანდერმა ჯეკ რუბინშტეინის (რუბის) სიკვდილით დასჯა მოითხოვა არა მარტო იმისათვის, რომ მან ოსვალდი მოკლა, არამედ იმისათვისაც, რომ „სასაცილოდ აიგდო ამერიკული მართლმსაჯულება“.

ახალი მიწისქვეშა აფეთქება

ნიუ-იორკი, 14 მარტი. (საკდესი). ატომური ენერგიის კომისიამ გამოაცხადა, რომ გუშინ საღამოს ნევადის შტატის საცდელ პოლიგონზე მოეწყო მორიგი მიწისქვეშა აფეთქება.

ამაო ცდა

ნიუ-იორკი, 13 მარტი. (საკდესი). დღეს საცდეს კენედის კოსმოდროკრაკეტის საშუალებით კოსმოსში გაეგზავნათ დედამიწის მაგნიტური ველის საკვლევი მოწყობილობა. ცდა ამაო გამოდგა.

რაკეტის აშვებისას არ ამოქმედდა რაკეტის სისტემის მეოთხე საფეხური.

15 ათასი უსახლკარო

ბუენოს-აირესი. (საკდესი). არგენტინის ვრცელ ტერიტორიაზე მოვიდა დიდი წვიმა, რომელმაც ძლიერი წყალდიდობა გამოიწვია რამდენიმე პროვინციაში. დატბორილია ბევრი დასახლებული პუნქტი. წყალმა დაფარა ათასობით ჰექტარი მინდორი და საძოვარი. ყველაზე დიდი ზარალი განიცადეს ქალაქებმა როსარიომ, სან-ნიკოლასმა, სადაც უსახლკაროდ დარჩა დაახლოებით 15 ათასი კაცი. სამხედრო ნაწილები, პოლიცია აწარმოებენ საშველ სამუშაოებს, მოსახლეობა გაჰყავთ დატბორილი ადგილებიდან.

წყალდიდობა ამერიკაში

ნიუ-იორკი, 14 მარტი. (საკდესი). კოისპირული წვიმების შედეგად ათობით მდინარე აღიდდა ინდიანის, ილინოისის, ოჰაიოს, კენტუკის, დასავლეთ ვირგინიის შტატებში. როგორც პრესა იუწყება, ეს ყველაზე დიდი წყალდიდობაა მდინარე ოჰაიოს ხეობაში ამ უკანასკნელი ორი ათწლეულის მანძილზე. დაზარალებულთა რიცხვი 120.000 კაცს აღწევს.

გუშინ უბედურების რაიონებს თვითმფრინავით გადაუფრინა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯონსონმა.

ჰუმანური მიზნით

ჟენევა, 13 მარტი. საკდესის კორესპონდენტი ბ. დრაგუნოვი გვატყობინებს: საბჭოთა დელეგაციამ, რომელიც მონაწილეობას იღებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომისიის საკითხთა კომიტეტის იურიდიული ქვეკომიტეტის მუშაობაში, შეიტანა საერთაშორისო შეთანხმების პროექტი ავარიისა ან იძულებითი დაშვების შემთხვევაში კოსმოსანვატებისა და კოსმოსური ხომალდების გადარჩენის შესახებ.

როგორც ცნობილია, ეს საბჭოთა კავშირის პირველი ინიციატივა როდია ამ საქმეში, რადგან ჯერ კიდევ წლინახევრის წინათ იურიდიულ ქვეკომიტეტს გადაეცა საბჭოთა წინადადება კოსმოსური ფრენის დროს მაშველი სამსახურის მოწყობის შესახებ. ახალი საბჭოთა პროექტი ითვალისწინებს როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ ამას წინათ მიღებულ დეკლარაციას კოსმოსში სახელმწიფოთა საქმიანობის უფლებრივი პრინციპების შესახებ, ისე სხვადასხვა შენიშვნას და წინადადებას, რომლებიც პირველი საბჭოთა წინადადების გარშემო გამოითქვა.

საბჭოთა პროექტის მთავარი იდეა ის არის, რომ შეიქმნას ისეთი საერთაშორისო სისტემა, რომელიც უზრუნველყოფდა ეფექტიანი დახმარების გაწევას კოსმონავტებისათვის ავარიის ან იძულებითი დაშვების შემთხვევაში.

საბჭოთა პროექტმა ქვეკომიტეტის მონაწილეთა დიდი ინტერესი გამოიწვია. ისინი აღნიშნავენ, რომ სსრ კავშირის წინადადება ჰუმანურ მიზნებს ისახავს და ხელს უწყობს კაცობრიობის საკეთილდღეოდ კოსმოსური ფრენის შემდგომ განვითარებას.

ვინ — ვის?

ნიუ-იორკი, ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორი ნელსონ როკფელერი, რომელმაც კამპანია გააჩაღა რესპუბლიკური პარტიისაგან პრეზიდენტის პოსტზე თავისი კანდიდატურის წამოსაყენებლად, უეცრად მოექცა ხაფანგში, რომელიც მარჯვედ დაუგეს ტეხასის შტატში გოლდუოტერის მომხრეებმა. როგორც ცნობილია, რესპუბლიკური პარტიის ადგილობრივი ლიდერები იზიარებენ გოლდუოტერის არქიმამარჯვენე შეხედულებებს და დარწმუნებული არიან, რომ არაოფიციალურ პირველადს არჩევნებში, რომელიც 2 მაისს გაიმართება ტეხასში, „ცოფიანების“ ლიდერი გაიმარჯვებს. თავის მხრივ, არც როკფელერს ეპარება ეჭვი, რომ გოლდუოტერი გაიმარჯვებს მემარჯვენეთა ამ ციტადელში და ამიტომ არა აქვს მაინცდამაინც დიდი სურვილი კენჭი იყაროს ტეხასის პირველადს არჩევნებში.

მაგრამ გოლდუოტერის მომხრეებმა და ტეხასის რესპუბლიკური პარტიის ადგილობრივმა ლიდერებმა „მოულოდნელად“ შეიტანეს როკფელერი კანდიდატთა სიაში როგორც გოლდუოტერის კონკურენტი. მათ იმედი აქვთ საბოლოოდ დაამარცხონ როკფელერი და ამით ასწორონ გოლდუოტერის პრესტიჟი. როკფელერი ამაოდ ცდილობდა [illegible] ბია გოლდუოტერის მომხრეებ[illegible] პუბლიკური პარტიის ტეხასელ [illegible] რები, რომ მოეხსნათ მისი კანდიდატურა, მაგრამ მან მტკიცე უარი მიიღო.

(საკდესი).

„მხოლოდ თეთრკანიანებისათვის“

ლონდონი, 13 მარტი. (საკდესი). სამხრეთ როდეზიის რასისტი ხელისუფლები ცდილობენ ყველაფერი მიბაძონ თავიანთ მოძმეებს სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკაში. რეიტერის საგენტოს კორესპონდენტი სოლსბერიდან იუწყება, რომ 13 მარტს სამხრეთ როდეზიაში გასაყიდად გამოიტანეს ცრემლსადენი გაზით სავსე ჯიბის ბალონებს. ამ ბალონების შეძენის ნებართვას აძლევენ „მხოლოდ თეთრკანიანებს“.

ასეთი ბალონები ფართოდ გავრცელდა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, სადაც პოლიცია და თავზე ხელაღებული რასისტები აფრიკელთა წინააღმდეგ იყენებენ ცრემლსადენ ყუმბარებსა და ბალონებს.

მაკნამარა ომის მომხრეა

ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრი მაკნამარა ძალიან კარგ გუნებაზე როდი წავიდა დღეს საიგონიდან. ხუთი დღე, რომელიც მან სამხრეთ ვიეტნამში დაჰყო, მძიმე დღეები იყო პენტაგონის ხელმძღვანელისათვის. მაკნამარას მრავალი სამხედრო თათბირი და საინსპექციო მოგზაურობანი მიუნდა ისახავდნენ საიგონის ახლანდელი ხელმძღვანელების გამხნევებას, რომლებიც ღრმა პოლიტიკური კრიზისის მდგომარეობაში აღმოჩნდნენ იმ დამარცხებათა შედეგად, რაც პარტიზანებისაგან განიცადეს.

მაკნამარა უხვად იძლეოდა დაპირებებს, რომ „ამერიკის შეერთებული შტატები გაუწევენ სრულიად შეუზღუდავ დახმარებას ისე, რომ არ დაიკისრებენ არავითარ ვალდებულებას“.

ეს იმას ნიშნავს, რომ ამერიკის მონაწილეობა საომარ მოქმედებაში სამხრეთვიეტნამელ პატრიოტთა წინააღმდეგ კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს.

იმ ხუთ დღეში, რაც მაკნამარამ სამხრეთ ვიეტნამში გაატარა, ამერიკის ჯარებმა და მათმა სამხრეთვიეტნამელმა მოკავშირეებმა ახალი დამარცხებანი განიცადეს. ხატოვნად რომ ვთქვათ, ბარომეტრი, რომელიც უჩვენებს რა მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნენ ამერიკის შეერთებული შტატები სამხრეთ ვიეტნამში, მთელ ამ ხუთ დღეს კვლავ ეეცემოდა.

მაკნამარა, როგორც ცნობილია, ორ წელიწადზე ნაკლები ხნის განმავლობაში მეოთხეჯერ იყო სამხრეთ ვიეტნამში. და ყოველი მისი ვიზიტის შედეგად სამხრეთ ვიეტნამში იგზავნებოდა არა მარტო დიდძალი ამერიკული სამხედრო ტექნიკა და საჭურველი, არამედ ამერიკელთა სამხედრო პერსონალიც.

მაკნამარას ახლანდელმა მოგზაურობამ სამხრეთ ვიეტნამში კიდევ უფრო ნათლად დაგვანახვა, რომ ჩიხიდან, რომელშიც მოექცა ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა ამ რაიონში, არ შეიძლება იპოვონ გამოსავალი ომის გზით.

კვლავ ჩიხი

ნიუ-იორკი, 14 მარტი. (საკდესი). ინფორმირებული წყაროებიდან ცნობილი გახდა, რომ კვლავ ჩაიფუშა ცდები მოეწესრიგებინათ კონფლიქტი ამერიკის შეერთებულ შტატებსა და პანამას შორის. ამას იუწყება იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის საგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტი.

მოლაპარაკების დროს, ხაზგასმით აღნიშნავს კორესპონდენტი, ამერიკის მხარემ უარყო პანამის მოთხოვნა, რომ პრეზიდენტმა ჯონსონმა განაცხადოს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მზად არიან დაიწყონ მოლაპარაკება პანამის არხის შესახებ ახალი ხელშეკრულების დადების თაობაზე.

ახალი ინგლისური მარკები, რომლებიც სპეციალურად გამოუშვეს შექსპირის დაბადების 400 წლისთავისათვის. გენიალური ინგლისელი დრამატურგის საიუბილეო თარიღი აღინიშნება წელს.

საკდესის ფოტოქრონიკა

დიდი ინტერესით

ჰელსინკი, 13 მარტი. (საკდესი). ფინეთის პრესა, რადიო და ტელევიზია ფართოდ აშუქებენ პრეზიდენტ უ. კ. კეკონენის ყოფნას საბჭოთა ესტონეთში. გაზეთები აქცენტებენ დაწვრილებით ანგარიშს ვიზიტის შესახებ, აღნიშნავენ იმ გულთბილ შეხვედრას, რომელიც პრეზიდენტსა და მის მეუღლეს მოუწყეს ქალაქ ტარტუში, მეგობრულ და გულითად ატმოსფეროს ტარტუს უნივერსიტეტის სტუდენტებთან შეხვედრის დროს, გაზეთები აღნიშნავენ საბჭოთა პრესის, რადიოსა და ტელევიზიის დიდ უყურადღებას პრეზიდენტის ვიზიტისადმი.

დე გოლი შეხვდა ბენ ბელას

პარიზი. (საკდესი). საფრანგეთის პრეზიდენტი დე გოლი შეხვდა სახალხო-დემოკრატიული ალჟირის რესპუბლიკის პრეზიდენტს ბენ ბელას. შეხვედრა გაიმართა ქალაქ მელუნის ახლოს, პარიზის რაიონში.

„ბოლოს ნაცისტებს“

ბონი, 13 მარტი. (საკდესი). ბონში ბოლოს ნაცისტებს ეწოდებოდა ... ეროვნული ... ...

• ᲬᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ •

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲜᲝᲕᲐᲢᲝᲠᲘ

ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡ Ე. Ნ. ᲞᲐᲕᲚᲝᲕᲡᲙᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 80 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

ᲐᲛᲐᲡᲬᲘᲜᲐᲗ ᲚᲔᲜᲘᲜ�გᲠᲐᲓᲨᲘ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერის აკადემიკოს ევგენი ნიკანორის-ძე პავლოვსკის დაბადების 80 და სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 55 წლისთავი. საიუბილეო სხდომებში, რომლებიც სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის დიდ კონფერენც-დარბაზში მიმდინარეობდა, მონაწილეობა მიიღეს მოსკოვის, ლენინგრადისა და სხვა ქალაქების, მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებმა.

ძნელია მოკლე წერილში იმ შესანიშნავი გზის აღწერა, რომელიც განვლო ე. პავლოვსკიმ — ათას ხუთასამდე სამეცნიერო შრომის (მათ შორის მრავალი მონოგრაფიისა და სახელმძღვანელოს) ავტორმა, ასზე მეტი სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაციის ხელმძღვანელმა.

ე. პავლოვსკი ჯერ კიდევ მოწაფეობის წლებში გაიტაცა საბუნებისმეტყველო მეცნიერებამ. იგი. შედის სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში, სადაც სწავლობს და მუშაობს გამოჩენილი რუსი მეცნიერის, ბიოლოგისა და პარაზიტოლოგის ნ. ა. ხოლოდკოვსკის ხელმძღვანელობით, სტუდენტობის წლებშივე აქვეყნებს რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომს. ერთი მათგანი — „ზხამიანი თევზების კანის ჯირკვლები“ ოქროს მედლით აღინიშნა. თავის ძირითად სპეციალობად მან პარაზიტოლოგია აირჩია, იგი შეუდგა იმ ცხოველთა ბიოლოგიისა და მორფოლოგიის შესწავლას, რომლებიც პარაზიტებს წარმოადგენენ.

დიდი გაქანება ჰპოვა ე. პავლოვსკის ნიჭმა და შემოქმედებამ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ. პარტიისა და მთავრობის მზრუნველობითა და დახმარებით ე. პავლოვსკი იქცა მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერად და იმ სკოლის შემოქმედად, რომლის მიმართულებას პარაზიტულ სნეულებათა პროფილაქტიკა წარმოადგენს. 85-მდე პარაზიტულ ცხოველს, რაც წინათ აღწერილი არ იყო, მიკუთვნებული აქვს ე. პავლოვსკის საგვარო, საოჯახო ან სახეობრივი სახელი.

ე. პავლოვსკიმ ხანგრძლივი სამეცნიერო-საექსპედიციო და პრაქტიკული შემოქმედებითი მუშაობის საფუძველზე შექმნა მეცნიერება პარაზიტულ, ინფიქციურ და ვირუსულ სნეულებათა ბუნებრივი კერობრივი, ლაბორატორიული ეპიდემიოლოგიისა და სამხარეო პარაზიტოლოგიის შესახებ. ამ მეცნიერებას დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმეში, მრავალი დაავადების, ბუნების საიდუმლოების ამოცნობაში.

ე. პავლოვსკისა და მისი მოწაფეების დიდ დამსახურებას წარმოადგენს მალარიის გადმტანი კოღოს — ანოფელესის სხვადასხვა სახეობათა ბიოლოგიის შესწავლა და ამ დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის რაციონალური მეთოდების შემოღება, რომელთა გატარებამ თავისი შედეგი გამოიღო. ცხადია, ამანაც შეუწყო ხელი იმას,



რომ სსრ კავშირში 1960 წლისათვის მალარია უკვე ლიკვიდირებულ იქნა.

შორეულ აღმოსავლეთში ოცდაათიან წლებში გაჩნდა ახალი მძიმე დაავადება. ეს იყო ვირუსული ენცეფალიტი (თავის ტვინის ანთება), რომელიც იწვევდა სიკვდილს ან ინვალიდობას. აკადემიკოსმა პავლოვსკიმ თავის თანამშრომლებთან ერთად ულრან ტაიგაში ყოველმხრივ შეისწავლა ეს დაავადება და დაადგინა მისი ბუნებრივი კერების არსებობა. გამოირკვა, რომ ამ ენცეფალიტის გამომწვევი ვირუსი გავრცელებული იყო ცხოველებში (ბურუნდუკი, ზღარბი, თხუნელა და სხვ.), ხოლო გადამტანს წარმოადგენდა ტაიგის საძოვრების ტკიპი, რომელსაც დაავადება კბენის საშუალებით გადაპქონდა ცხოველებიდან ადამიანზე. შემუშავებულ იქნა პროფილაქტიკური ღონისძიებანი, რომელთა შორის მთავარია ჯანმრთელი მოსახლეობის აცრა სპეციალური ვაქცინით. ეს აღმოიწენა მსოფლიო მნიშვნელობის ფაქტად იქცა, ხელი შეუწყო ამ სნეულების მოსახლეობის დაცვასაც.

დიდია ე. პავლოვსკის დამსახურება სამედიცინო გეოგრაფიის განვითარებაში. მეცნიერების ეს დარგი აგრეთვე დიდად უწყობს ხელს სხვადასხვა გეოგრაფიულ ზონაში დაავადებათა გავრცელების თავისებურებების დადგენასა და შესაბამისი დიფერენცირებული პროფილაქტიკური ღონისძიებების ფართოდ დანერგვას.

ყოველივე ამან ისე გაუთქვა სახელი აკადემიკოს ე. პავლოვსკის, რომ ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ჩვენი მთავრობის ნებართვით, საბჭოთა კავშირში ორჯერ იქნა მოწყობილი საერთაშორისო კურსები ბუნებრივი კერობრიობით განპირობებულ დაავადებათა შესწავლის მიზნით. კურსების მსმენელები — მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები მეცადინეობდნენ ლენინგრადში, მოსკოვსა და თბილისში (ს. ვირსაღაძის სახელობის სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის ინსტიტუტის ბაზაზე) ე. პავლოვსკის საერთო ხელმძღვანელობით.

აკადემიკოსი ე. პავლოვსკი დიდ სამეცნიერო მუშაობას შესანიშნავად ახამებს პედაგოგიურ მოღვაწეობასთან. მისი მოწაფეები უკვე სამი თაობით არიან წარმოდგენილნი. მას ჰყავს „აკადემიური“ „შვილები“, „შვილიშვილები“ და „შვილიშვილიშვილები“. სახელოვანი იუბილარი დიდი საზოგადო მოღვაწეც არის.

აკადემიკოსი ე. პავლოვსკი არჩეულია სსრ კავშირის ენტომოლოგთა და გეოგრაფთა საზოგადოების პრეზიდენტად, იგი არის სამედიცინო სამსახურის გენერალ-ლეიტენანტი, მრავალი სოციალისტური და სხვა ქვეყნების მეცნიერებათა აკადემიებისა და პარაზიტოლოგიური საზოგადოებების ნამდვილი ან საპატიო წევრი, „ზოოლოგიური ჟურნალის“ რედაქტორი და „დიდი სამედიცინო ენციკლოპედიის“ რედაქციის წევრი.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ღირსეულად დააფასეს აკადემიკოსის, სამედიცინო სამსახურის გენერალ-ლეიტენანტის ე. პავლოვსკის მოღვაწეობა. მას მინიჭებული აქვს სოციალისტური შრომის გმირის წოდება. იგი მეცნიერების დამსახურებული მოღვაწეა, სახელმწიფო პრემიების ლაურეატი. დაჯილდოებულია ლენინის ხუთი ორდენით, აგრეთვე მრავალი სხვა ორდენითა და მედლით.

მიუხედავად ხანდაზმულობისა, აკადემიკოსი ე. პავლოვსკი დიდი ენთუზიაზმითა და ენერგიით ეწევა თავის ჩვეულ შრომას.

პროფესორი,

Ბ. ᲛᲐᲠᲬᲣᲨᲕᲘᲚᲘ.

სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ • ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ • ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ • ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ᲖᲘᲑᲔᲠᲘᲡ ᲐᲠᲡᲘᲡ ᲫᲘᲔᲑᲐ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. (საკადესი). სსრ კავშირის 90 სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტისა და უმაღლესი სასწავლებლების ლაბორატორიებში ამუშავებენ სიცოცხლის გახანგრძლივების პრობლემებს.

ყოველთვიური ჟურნალის „მეცნიერებისა და ცხოვრების“ თებერვლის ნომერის უმეტესი ნაწილი მიეძღვნა ჰერონტოლოგიის დარგის უახლეს გამოკვლევებს.

უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ა. ა. ბოგომოლეცის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში განახორციელეს ცდები, რომლებიც ცხადყოფენ, რომ პრინციპულად შესაძლებელია ცოცხალი ქსოვილების ვაახალგაზრდავება.

სხვადასხვა ასაკის თაგვების ცოცხალი ქსოვილების მცირე ნაწილები, რომლებიც სპეციალურ მასაზრდოებელ გარემოში მოთავსეს, განაგრძობდნენ განვითარებასა და ზრდას. მაგრამ ზრდა-განვითარება ერთნაირად როდი მიმდინარეობდა. პირველად ხანში შესული ცხოველების ქსოვილის უჯრედები უფრო ცოდად ვითარდებიან. ამ ქსოვილებს, მათი ზრდის კვალობაზე, ჭრიდნენ და ათავსებდნენ ახალ მასაზრდოებელ გარემოში. სამი თვის შემდეგ ხანში შესული ცხოველების უჯრედებმა თითქმის ისევე დაიწყეს ზრდა, როგორც ახალგაზრდა უჯრედებმა, მკვეთრად შეიცვალათ ელფერი.

ხსნარს, რომელიც ქსოვილები იზრდებოდნენ, აღმოაჩნდა არა მარტო იმის უნარი, რომ დაეცვა ქსოვილები დაქანცვისაგან, არამედ იმის უნარიც, რომ აღეგინა მათთვის დაკარგული თვისებები და ფუნქციები.

მოსკოვის ჰერონტოლოგიისა და ექსპერიმენტული პათოლოგიის ინსტიტუტში შესრულებულმა კვლევამ ცხადყო, რომ ასაკთან ერთად ქვეითდება მგრძნობელობა ნერვიული გამოიზიანებლებისადმი. მაგრამ ამის კომპენსაცია ხდება იმის მეოხებით, რომ ძლიერდება მგრძნობელობა ისეთი ქიმიური ზემოქმედებებისადმი, რომლებიც უფრო ნელა, მაგრამ ხანგრძლივად მოქმედებენ.

ამან მეცნიერებს საშუალება მისცა გამოეტანათ ოპტიმისტური დასკვნა, რომ ხანში შესული ადამიანების ორგანიზმში წარმოიქმნება ახალი შემაგუებელი მექანიზმები, რომელთა მეოხებით ორგანიზმში დაცულია სასიცოცხლო მოქმედების ისეთი დონე, რომელიც ყველაზე უფრო ხელსაყრელია.

ექიმ ფროლკისს, რომელიც მკვლევართა ჯგუფს მეთაურობს, მიაჩნია, რომ როცა ამოიცნობენ ამ მექანიზმების საიდუმლოებას, რომლებიც ბუნებით დაჰყვა ადამიანს, შესაძლებელი იქნება სიცოცხლის ეფექტური გახანგრძლივება.

სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის სამედიცინო რადიობიოლოგიის ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგეს ჟ. მედვედევს მიაჩნია, რომ მოხუდავად იმისა, რომ უჯრედების დაბერების პროცესი გარეგნულად ქაოტიურად გვეჩვენება, იგი რეგულირებული პროცესია.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲗᲐ ᲛᲣᲡᲘᲙᲐ

ᲚᲔᲜᲘᲜ�გᲠᲐᲓᲘ, 13 მარტი. (საკადესის კორ.). დღეს ლენინგრადელებს სმენა დაუტკბო ჩეჩნიოჯანის, სომხეთისა და საქართველოს კომპოზიტორთა მეზნებარე და გულშიჩამწყდომმა მუსიკამ. ეს მუსიკა წარმოდგენილი იყო ლექციაკონცერტში, რომელიც გაიმართა ლენინგრადის მ. ი. გლინკის სახელობის ფილარმონიის მცირე დარბაზში. ამერიკავკასიის რესპუბლიკათა კომპოზიტორების თანამედროვე მუსიკასთან შეხვედრის საღამო ქალაქის მუსიკალურ ცხოვრების სასიხარულო მოვლენად იქცა.

კონცერტის პროგრამა მრავალფეროვანი იყო. ლენინგრადელმა მუსიკოსებმა შეასრულეს ს. ცინცაძის მეოთხე კვარტეტი, ა. არუთინიანისა და ა. ბაბაჯანიანის „სომხური რაფსოდია“, ნაწყვეტები ბალეტებიდან: ყ. ყარაევის „შვიდი მზეთუნახავი“, ა. ხაჩატურიანის „სპარტაკი“, კამერული მუსიკის ვოკალური და სხვა ნაწარმოებები.

„ᲠᲔᲠᲝ“ ᲑᲐᲗᲣᲛᲘ

ᲡᲐᲛᲘ კონცერტი გამართა ბათუმში საქართველოს სახელმწიფო საეესტრადო ორკესტრმა „რერომ“. კონცერტის პროგრამაში იყო საბჭოთა და საზღვარგარეთელი კომპოზიტორების ნაწარმოებები, მსოფლიოს ხალხთა ცეკვები და სიმღერები.

Ნ. ᲞᲐᲕᲚᲝᲕᲐ.

ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲔᲑᲘ — ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡ ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ

ᲛᲐᲘᲐᲙᲝᲕᲡᲙᲘ. (საკ. კორ.). დაბა მაიაკოვსკის კოლმეურნეობის წევრმა ვ. ქარაბაკმა საკოლმეურნეო ბრიგადისაგან მოუწყვეტლივ დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ეკონომიკა-ორგანიზაციის ფაკულტეტი. ახლა იგი ეკონომისტად მუშაობს საწარმოო სამმართველოში.

უმაღლესი აგრონომიული განათლება დაუსწრებლად მიიღეს აგრეთვე რ. ჩხეიძემ, ლ. ამაღლებელმა, ზ. ჩხეიძემ და სხვებმა. მარტო ამ ერთი კოლმეურნეობიდან ასზე მეტი კაცი სწავლობს უმაღლესი სასწავლებლების დაუსწრებელ განყოფილებაზე. სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის მე-6 კურსის სტუდენტები არიან კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანი ა. მაისურაძე, კოლმეურნეები რ. გარუჩავა, გ. კბილაშვილი და სხვები.

საღამოს სოფლის სკოლაში სწავლობს 70 ახალგაზრდა. ბევრი მეცადინეობს ქიმიზაციისა და მოწინავე გამოცდილების სკოლებში.

ახლა აქ ყოველი მეორე კოლმეურნე სწავლობს.

ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲔᲚᲔᲑᲘ ᲫᲐᲚᲔᲑᲡ ᲡᲪᲓᲘᲐᲜ

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ სამყარო დიდი პაექრობის — ტოკიოს ოლიმპიური ასპარეზობის მოლოდინშია. ახლა ყველგან მიმდინარეობს უწვეულო მზადება, ეწყობა სხვადასხვა ტურნირები, ძალთა მოსინჯვა.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲔᲚᲔᲑᲘ ᲫᲐᲚᲔᲑᲡ ᲡᲪᲓᲘᲐᲜ

ოლიმპიური ასპარეზობისათვის მზადებას მიეძღვნა თეირანის საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში, რომელიც 13 მარტს დაიწყო და სამ დღეს გაგრძელდება. აქ თავი მოიყარეს თავისუფალი ჭიდაობის გამოჩენილმა ოსტატებმა, საბჭოთა კავშირიდან, ირანიდან, იაპონიიდან, ბულგარეთიდან და ერაყიდან.

პირველ დღეს საბჭოთა მოჭიდავეებმა ორი შეხვედრა მოიგეს, ამდენივე ფრედ დაამთავრეს და სამი წააგეს. ა. აღიევმა მოუგო ჰეიროლ ამირის. წარმატებას მიაღწია აგრეთვე ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა გ. სადაძემ. მან დაამარცხა ირანელი მოჭიდავე მაჯიდ აგილი. იბრაგიმოვმა და ბერიაშვილმა ფრედ დაამთავრეს ორთაბრძოლა იაპონელ ფოკოდასთან და ირანელ ჰასან ამზადთან. დამარცხება განიცადეს ლიტვინმა, ხოხაშვილმა და ალბუღმა. პირველმა წააგო შეხვედრა ირანელ მოჰამედ კამანთან, მეორემ — ირანელ ჰასან ბეჰესტანიანთან, მესამემ — იაპონელ სასაკასთან.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ - ᲜᲝᲠᲕᲔᲒᲘᲐ

ᲒᲣᲨᲘᲜ სვერდლოვსკში დაიწყო სსრ კავშირისა და ნორვეგიელ მოცივურაეეთა საერთაშორისო ასპარეზობა. 500 მეტრზე რბოლაში საბჭოთა სპორტსმენს, ე. გრიშინს ბადალი არ ჰყავდა. მან ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა. დრო — 40,4 წამი.

ᲝᲡᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲣᲛᲐᲢᲔᲑᲚᲝᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ საჭადრაკო ჩემპიონატის გუშინდელ მეექვსე ტურში წარუმატებლად გამოვიდნენ ოსტატები. ბ. გურგენიძემ წასაგებ პოზიციაში გადადო პარტია ა. ბოკუჩავასთან, ა. ბუსლაევი აგებს თ. კიკინთან.

ა. კირვალიძემ მოუგო ხ. მეგრელიშვილს, თ. გიორგაძემ — ი. ლოლუას, ყაიმზე შეთანხმდნენ ჯ. ბერაძე-ხ. ძუბაევი და ო. ელიოზოშვილი-ვ. დავითაშვილი. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

ექვსი ტურის შემდეგ 4,5 ქულით ლიდერია ოსტატობის კანდიდატი ჯ. ბერაძე (წყალტუბო).

ᲩᲔᲛᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ „ᲣᲮᲣᲪᲔᲡᲘ“ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔ Კ. ᲤᲘᲠᲪᲮᲐᲚᲐᲕᲐ.

მეგობრული შარჟი

Ბ. ᲤᲘᲠᲪᲮᲐᲚᲐᲕᲐᲨᲘ.

ᲔᲕᲠᲝ�პᲘᲡ ᲩᲔᲛᲘᲝᲜᲗᲐ ᲗᲐᲡᲖᲔ

ჟ. ზაგრებში (იუგოსლავია) დაიწყო ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალური შეხვედრები წყალბურთში. მოსკოვის დინამოელებმა დამარცხეს გფრ-ის გუნდი 7:3. დანარჩენი მატჩების შედეგები ასეთია: „პარტიზანი“ (ბელგრადი) — „კანონტვირი“ (ნეაპოლი) 6:2, „დინამო“ (მაგდებურგი) — „ლეგია“ (ვარშავა) 14:3.

ᲢᲔᲠᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲢᲠᲐᲡᲔᲑᲖᲔ

ᲢᲔᲠᲡᲙᲝᲚᲨᲘ დასასრულს უახლოვდება ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშება სამთო-სათხილამურო სპორტში. საინტერესოა გამოდგა შეხვედრები გიგანტურ სლალომში ვაჟთათვის. აქ უძლიერესი იყო მოსკოველი სპორტსმენი ტ. მონსტირევი.

ქალთა შორის კვლავ წარმატებით გამოვიდა მოსკოველი მოთხილამურე ნ. მერკულოვა. დრო — 2 წუთი და 13,4 წამი.

ᲤᲘᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ

ᲮᲔᲚᲑᲣᲠᲗᲨᲘ მსოფლიო პირველობის ნახევარფინალების უკანასკნელი მატჩების შედეგები პრაღაში ვაჟთა გუნდებისათვის ასეთია: სსრ კავშირი-დანია 17:14, იუგოსლავია-უნგრეთი 16:15, გფრ-შვეიცია 16:8, რუმინეთი-ჩეხოსლოვაკია 16:15. ამრიგად, ფინალში გავიდნენ რუმინეთისა და შვეიცის გუნდები.

რედაქტორი

Დ. ᲛᲔᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

• ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲒᲐ ᲓᲐ ᲨᲗᲐᲒᲔᲭᲓᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ •

„ᲛᲖᲘᲡ ᲞᲘᲠᲐᲛᲘᲓᲘᲡ“ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ

ᲗᲘᲗᲛᲫᲘᲡ თვენახევრის განმავლობაში მოსკოვის საკლუბო გუნდების ნაკრები, რომლის შემადგენლობაში იმყოფებოდა ჩვენი თანამემამულე, ქუთაისის „ტორპედოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის მეკარე სპორტის ოსტატი რამაზ ურუშაძე, მექსიკაში იყო. ამ რამდენიმე დღის წინ რ. ურუშაძე დაუბრუნდა თავის გუნდს, რომელიც საწვრთნელ შეჯრებას ბათუმში გადის. ქვემოთ ვბეჭდავთ რ. ურუშაძის ნაამბობს.

□ □

ᲘᲐᲜᲕᲠᲘᲡ პირველ ნახევარში შერმეტიევოს აეროდრომიდან მოსკოვის საკლუბო გუნდების ნაკრები პარიზისა და ნიუ-იორკის გავლით მექსიკისაკენ გაფრინდა, რათა მოხაწილეობა მიეღო რიგით მეშვიდე „ტორნეო სექსტაგონალუში“ (ექვსთა ტურნირი), რომელიც მექიკოში ტრადიციულად იმართება.

მექიკოს საერთაშორისო ტურნირის მონაწილენი ძირითადად სამხრეთ ამერიკის ფეხბურთელთა გუნდები არიან. ამ ტურნირში ევროპის გუნდებიდან მონაწილეობა მიუღიათ ბუდაპეშტის „დოჟას“ და პრაღის „დუკლას“, მაგრამ წარუმატებლად.

ევროპის გუნდების წარუმატებლობას გასამართლებელი მიზეზები აქვს. მექიკოს ტურნირი, როგორც წესი, იანვარსა და თებერვალში იმართება. წლის ამ დროს აქ აუტანელი სიცხე იცის, თერმომეტრი ხულს ზევით 30-35 გრადუსს აჩვენებს, ხოლო თამაში დღის 12 საათზე იწყება. მეორე „უხერხულობა“ ის არის, რომ მეხიკო ზღვის დონიდან 2.278 მეტრზეა. ამიტომ ევროპული გუნდები ვერ ასწრებენ აკლიმატიზაციას.

პირველი ვარჯიში გავმართეთ მეხიკოს ერთ-ერთ სტადიონზე, რომელიც ათი ათას მაყურებელს იტევს. სიტყვამ მოიტანა და, ასეთი პატარა სტადიონები მეხიკოში უთვალავია. როდესაც მიხდორზე გავედით სავარჯიშოდ, სტადიონის ტრიბუნებზე ტევა არ იყო. ვარჯიშიდან სულ რაღაც რამდენიმე წუთი იყო გასული, რომ მოედახნე ხალხი შემოიჭრა. არ მოგვცეს ვარჯიშის განგრძობის საშუალება, გვთხოვდნენ ავტოგრაფებს, გვეხვეოდნენ მათთან ერთად სურათების გადაღებას. თავს ზვეით ძალა არ გვქონდა. ჩვენც შევეხვსრულეთ სურვილი, და ვარჯიში ჩავგვშალა. მეორე დღეს ადგილობრივ პრესაში დაიბეჭდა წვრთნის დროს გადაღებული სურათები, წერილები.

გვეკითხებოდნენ ჩვენი პლანეტის პირველ მეკარე ლევ იაშინზე. ნაწყენი იყვნენ იმის გამო, რომ თავიანთი თვალით ვერ ნახეს ჩვენი დროის ეს უდიდესი ფეხბურთელი. მექსიკაში გაბატონებულია მეკარის კულტი: ამას თავისებური გამართლება აქვს. ამ ქვეყნის ყველაზე პოპულარული ფეხბურთელი მეკარე ანტონიო კარბახალია. მისი საფეხბურთო კარიერა თითქმის ოც წელს შეიცავს. ანტონიო კარბახალამ ფეხბურთის სამყაროში საყოველთაო აღიარება ჯერ კიდევ 1948 წელს ლონდონის ოლიმპიურ თამაშებში მოიპოვა, როგორც ბრწყინვალე მეკარემ და მექსიკის ნაკრების კაპიტანმა. ამ პოპულარულმა ფეხბურთელმა ჩილის მსოფლიო ჩემპიონატშიც დაამტკიცა თავისი უბადლო ოსტატობა.

მექსიკაში ფეხბურთი პოპულარულია. მაგრამ ეს თამაში დღესდღეობით ამ ქვეყანაში მაინც № 2 სპორტად არის მიჩნეული, რადგან № 1 სპორტად უყოყოველად პოპულარული კორიდა — ხარებთან ბრძოლა თვლეს. ხარებთან ბრძოლა ყოველ კვირაში იმართება სპეციალურ სტადიონზე, რომელიც ორმოცდაათ ათას მაყურებელს იტევს. ამიტომ იყო, რომ ჩვენი თამაშები დღის 12 საათზე იწყებოდა.

რა თქმა უნდა, ჩვენი გუნდიც რამდენჯერმე მიიწვიეს კორიდაზე. ადამიანს რკინის ნერვები უნდა ჰქონდეს, რომ ბოლომდე უცქიროს სანთლეს შეუჩვეველ ხარს, რომელსაც არენაზე გამოსვლის წინ, რათა უფრო გააფთრებით იბრძოლოს, გავა გაკარავრებული შანთით აქვს დადაღული. რაც უფრო სხარტ და სასიფათო ილეთებს აკეთებს დაშნიანი ტორეორო, მაყურებელთა მით უფრო აღფოთოვანებას და მოწონებას შეძახილებს იწვევს.

ადგილობრივი ტორეროების გარეა ხშირია შემთხვევა, როცა სახელგანთქმულ ტორეროს სხვადასხვა ქვეყნებიდანაც იწვევენ. ჩვენი იქ ყოფნის დროს მსოფლიოში გამოჩენილი ტორეორი მანუელ გარსია პალმერო ჩამოვიდა ესპანეთიდან. იგი 21 წლის ჰაბუკია, მაგრამ მისი სახელი კარგად იცოდნენ მექსიკელებმაც. ესპანელი ტორეროს ყოველ მოხერხებულ ილეთს მაყურებლები ტაშითა და ოვაციებით ხვდებოდნენ. რაც უფრო ახლოს მიუშვებს ტორეორო წითელი ნაჭრით დაფეთებულ, გამმაგებულ ხარს, ეს მაყურებლებს მით უფრო დიდ შთაბეჭდილებას ტოვებს. მაგრამ იქ დამსწრენი ველარ ხედავენ შემახსენებელ სურათის მოწმეს, რაც არცთუ ისე იშვიათია კორიდის დროს. ესპანელმა ტორეორომ ვერ მოასწრო ხარისათვის ბეგერი ნაჭრის შეეტეა. ხარმა მას რქები მუცელში გაუყარა და მძიმე ჭრილობა მიაყენა...

ᲔᲮᲘᲝᲡ ტრადიციული ტურნირი 16 იანვარს დაიწყო. ჩვენმა გუნდმა ტურნირის დაწყებამდე საწვრთნელი მატჩი გამართა მეხიკოს უნივერსიტეტის გუნდთან და დაამარცხა მეტოქე ანგარიშით 7:1. ტურნირში ჩვენს გარდა მონაწილეობდნენ მექსიკის „გვადალაჰარა“, „ამერიკა“, „ნეკახა“, ბრაზილიის „სან-პაულო“ და იუგოსლავიის „პარტიზანი“.

მექსიკის ჩემპიონატი ფეხბურთში ახალი დამთავრებული იყო. ტურნირში ჩვენი პირველი მოწინააღმდეგე იყო ვიცეჩემპიონი „ამერიკა“. ეს გუნდი მთელი სეზონის განმავლობაში უდგა სათავეში გათამაშებას, მაგრამ ეკანასკნელ კალენდარულ თამაშში დამარცხდა „გვადალაჰარასთან“ და საბოლოოდ ქვეყნის ჩემპიონატში მეორე ადგილი დაიკავა. ვიცეჩემპიონის გუნდში ოთხი მაღალი კლასის ბრაზილიელი ფეხბურთელი თამაშობს.

თამაშის დაწყებამდე „ესტადიო ოლიმპიკოს“ ტრიბუნები მაყურებელს ვერ იტევდა. დაიწყო თამაში. მთელი მატჩის მანძილზე ტრიბუნაზე გამაყრუებელი ყიჟინა არ შეწყვეტილა. გულშემატკივრებს მოტანილი ჰქონდათ დოლები, საყვირები, ათასგვარი ინსტრუმენტები, ღრიალებენ ამხნევებდნენ თავიანთ გუნდს, მაგრამ გულშემატკივართა მხარდაჭერამ ვერ უშველა „ამერიკას“. თამაში მოვიგეთ ანგარიშით 5:0.

ასეთი გამანადგურებელი დამარცხება „ამერიკას“ დიდი ხანია არ ახსოვს. თამაში დამთავრდა. მექსიკელმა ფეხბურთელებმა დარცხვენილმა დატოვეს მოედანი. კარგ გუნდებზე არც მათი მწვრთნელი იყო. მან ნიდეალიანად თქვა: „ამერიკის“ კარში რუსების მიერ გატანილი ხუთი ბურთი ხუთი ისარია ჩემს გულში“.

26 იანვარს ჩვენმა გუნდმა მეორე კალენდარული მატჩი გამართა „ნეკახასთან“. თამაშის პირველი წუთებიდანვე მექსიკელებმა მაღალი ტემპი შემოგვთავაზეს, ისინი ჩვენი საჯარიმო მოედნის ხშირი სტუმრები იყვნენ, ბომბავდნენ ჩემს კარს. ჩვენი გუნდის დაცვამ რამდენიმე შეცდომა დაუშვა. ერთ-ერთი ასეთი შეცდომა კარგად გამოიყენა მასპინძელთა ცენტრალურმა თავდამსმელმა ეტჩეგორამ. მან არ დააყოვნა და კარში დაარტყა. ბურთი გატანილი იქნა.

ოცდამესამე წუთზე მოახერხა ჩვენმა გუნდმა ანგარიშის გათანაბრება. ტერიტორიული უპირატესობა პირველ ტაიმში მაინც მექსიკელთა მხარეს იყო. თამაშის მეორე ნახევარში მოედანს ჩვენი ფეხბურთელები დაეუფლნენ და ივანოვმა თავი გაიტანა გოლი „ნეკახას“ კარში. ამ ძმიმე მატჩში გავიმარჯვეთ ანგარიშით 2:1. ასეთი მინიმალური ანგარიშის მიზეზი ჩვენი ფეხბურთელები იყვნენ, რომლებმაც ეს შეხვედრა თავიანთ შესაძლებლობაზე უფრო დაბლა ჩაატარეს. ამაში მთავარი „დამნაშავე“ მაინც სიცხე იყო.

მესამე კალენდარული შეხვედრა გვქონდა მექსიკის ერთ-ერთ პოპულარულ გუნდ „გვადალაჰარასთან“, რომელიც ქვეყნის შვიდგზის ჩემპიონია. ამ გუნდის ღირსებას იცავს ჩილის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილე ექსი ფეხბურთელი.

ᲗᲐᲛᲐᲨᲘᲡ დაწყების წინ მექსიკელებმა ფეხბურთელთა ფორმაში გამოწყობილი ორი ბავშვი და ორი თხა გამოიყვანეს, რომლებიც ტრიბუნების წინ ჩაატარეს. იქაურ გულშემატკივრებს ეს კარგად აქვთ დაცდილი. დაიწყო თამაში, ტრიბუნებიდან ბავშვი და ორი თხა გამოიყვანეს. საოცდათხუთმეტი ათასი მაყურებელი ამხნევებდა თავის გუნდს. მასპინძლებმა მთელი მატჩი მართლაც მაღალ დონეზე ჩაატარეს. ოცდამეცამეტე წუთზე „გვადალაჰარას“ ცენტრალურმა თავდამსხმელმა სალვადორ რეიესმა გახსნა ანგარიში. პირველი ტაიმის განმავლობაში ჩვენი გუნდი საკუთარი კარის დაცვას უფრო მეტ ყურადღებას აქცევდა, ვიდრე შეტევას. მეორე ნახევრის შუა წუთებიდან თამაშში გარდატეხა მოხდა. მექსიკის ჩემპიონის კარი რამდენჯერმე გადარჩა აშკარა გოლს. მატჩის დამთავრებას წუთები აკლია. ბურთის გატანის იმედი არ არის... მაგრამ მუსტიგინმა მიიღო ბურთი, გვერდი აუარა მოწინააღმდეგის რამდენიმე ფეხბურთელს, შეიჭრა საჯარიმო მოედანზე და ძლიერი დარტყმით ანგარიში გაათანაბრა — 1:1.

მექსიკელები ცენტრიდან იწყებენ თამაშს. ბურთს იგივე მუსტიგინი ეუფლება, გაიჭრა წინ და გადაწოდა ტუაევს, რომელმაც ანგარიში ორამდე გაზარდა.

ჩემპიონს ვერ უშველა ლიტუალმა, რომელიც მექსიკელთა რწმენით მათს გუნდს ძალას მატებს.

შემდეგი კალენდარული მატჩი გვქონდა იუგოსლავებთან. თამაშის მეოცე წუთზე ბურთი მიიღო „პარტიზანის“ მარჯვენა გარეთამბა. ტაკაჩმა. იგი თამამგარე მდგომარეობაში იმყოფებოდა. რატომღაც ადგილობრივმა მსაჯმა რამორომ ეს „ვერ დაინახა“. ტაკაჩმა ძლიერად დაარტყა კარში. ანგარიში გაიხსნა. თამაშის დამთავრებამდე ოცი წუთით ადრე მოახერხა ჩვენმა გუნდმა ანგარიშის გათანაბრება. შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1.

რაც შეეხება მსაჯობას, ტურნირის ყველა თამაშს მექსიკელები სჯიდნენ. ისინი მეტად არაობიექტური იყვნენ სხვა გუნდების და განსაკუთრებით ევროპელების მიმართ. ჩვენი და „პარტიზანის“ თამაშის დროს მათ მიერ დაშვებული უხეში შ